„ვამტკიცებ“
აჭარის ჭადრაკის ფედერაციის
პრეზიდენტი სალომე მელია

აჭარის ღია ჩემპიონატი, ონლაინ -ტურნირი სწრაფ ჭადრაკში
შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა შორის - 10 ივნისი, 2020 წ.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

1. ორგანიზატორი: აჭარის ა.რ. ჭადრაკის ფედერაცია; აჭარის ა.რ. სპორტის დეპარტამენტი;
2. ჩატარების ვადები და ადგილი: 10 ივნისი, 2020 წ. საჭადრაკო პლატფორმა chess.com
3. სისტემა და კვალიფიკაცია:
   ტურნირი ტარდება ონლაინ რეჟიმში, ფიდეს წესებით, შვეიცარული სისტემით 5 ტურად.
   მონაწილენი: საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის წევრი მოჭადრაკეები.
4. დროის კონტროლი:
   თითოეულ მონაწილეს მიეცემა 10 წუთი პარტიის ბოლომდე.
5. ტურნირში სათამაშოდ მონაწილეები უნდა დარეგისტრირდნენ თავიანთი სახელით საჭადრაკო პლატფორმაზე www.chess.com და შემდეგ გაწევრიანდნენ აჭარის ჭადრაკის ფედერაციის კლუბში - Adjarian Chess Federation.
   ტურნირის კენჭისყრაში გასაწევრიანებელი გრაფა გამოჩნდება თამაშის დაწყებამდე 1 საათით ადრე და მასში შეერთება (Join) შესაძლებელი იქნება თამაშის დაწყების ბოლო წუთამდე.

6. გამარჯვებულები:
   I, II, III ადგილზე გასული მოჭადრაკეები (ქალები და ვაჟები ცალ-ცალკე) დაჯილდოვდებიან ფასიანი საჭადრაკო საჩუქრებით.

7. ორი ან რამოდენიმე მონაწილის მიერ თანაბარი რაოდენობის ქულების დაგროვების შემთხვევაში ადგილები განაწილდება კოეფიციენტით და პრიზები არ გაიყოფა;

8. პრიზიორებმა პრიზის აღების დროს უნდა წარმოადგინონ დაბადების მოწმობა.
   რეგისტრაციის ბოლო ვადის დარღვევის შემთხვევაში ორგანიზატორს უფლება აქვს არ დაარეგისტრიროს მოჭადრაკე, რომელმაც დაარღვია რეგისტრაციის ვადები.

9. მონაწილენი ვალდებულნი არიან დაიცვან chess.com - ის საზოგადოების წესები და პრინციპები;
10. მოჭადრაკე მიიღებს დისკვალიფიკაციას თუ აღმოჩნდება, რომ მან ისარგებლა დახმარებით ტურნირის მსვლელობის დროს (კომპიუტერული პროგრამით ან სხვა პირისგან). ის დაიბლოკება პორტალ chess.com - ზე და საპრიზო ადგილზე გასვლის შემთხვევაში ვერ მიიღებს პრიზს;
11. პარტიებზე განხორციელდება დაკვირვება chess.com - ის 'ანტიჩითინგის' სისტემით.

ტურნირის დირექტორი: აჭარის ა.რ. ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი
სალომე მელია
ელ-ფოსტა s.melia@acf.ge ტელ: 599 06 94 97